ხელშეკრულება №14/02-216

**სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის“ მიწოდების შესახებ**

ქ. თბილისი **23 დეკემბერი, 2014 წ.**

**სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“** (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი სააგენტოს მხარდაჭერის დეპარტამენტის დირექტორის/სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის, **მალხაზ ტაბლიაშვილის** სახით, **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის, **ზაზა სოფრომაძის** სახით და **სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“** (შემდგომში - მომსახურების სააგენტო), წარმოდგენილი მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, **გაიოზ თალაკვაძის** სახით, შემდგომში ერთობლივად მხარეებად წოდებულნი,

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის მე–3 პუნქტის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, „ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში არსებული მონაცემებით სარგებლობის, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი დევნის და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხოციელების მიზნით აღნიშნული მონაცემების გაცემისა და გაცვლის წესის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №40-№61-№222 ერთობლივი ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „სახელმწიფო პენსიის შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, მე-4 მუხლის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-17 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“, „ვ“, „ზ“ და „ი“ ქვეპუნქტების, მე-2 პუნქტის, „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური პაკეტის გაცემის წესი და პირობების“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“-„ე“ და „ზ“ ქვეპუნქტების, მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „დ“-„ვ“ და „თ“ ქვეპუნქტების, მე-2 პუნქტის, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-2 მუხლის, „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ (დანართი N1) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, მე-5 მუხლის მე-2-მე-5 პუნქტების, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“-„ვ“ ქვეპუნქტების, მე-2 პუნქტის, ამავე ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესი“ (დანართი N2) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, მე-15 მუხლის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „დ“, „ზ“ და „ი“ ქვეპუნქტების და მე-2 პუნქტის საფუძველზე და მომსახურების სააგენტოს 2014 წლის

| | | |
|---|---|---|
| მალხაზ ტაბლიაშვილი | ზაზა სოფრომაძე | გაიოზ თალაკვაძე |

28 ნოემბრის №04/95860 წერილის (სააგენტოში რეგისტრირებული: №167350, 28.11.2014წ.) გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებით (შემდგომში - ხელშეკრულება) თანხმდებიან შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის (შემდგომში - სამინისტროს ინფრასტრუქტურა) მეშვეობით ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ფარგლებში მომსახურების სააგენტოსათვის ელექტრონული ფორმით მიწოდება.

## 2. კავშირის უზრუნველყოფა

2.1 მომსახურების სააგენტოსათვის ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მეშვეობით.

2.2 სამინისტროს ინფრასტრუქტურის მეშვეობით მომსახურების სააგენტოსათვის ინფორმაციის მისაწოდებლად სამინისტროსა და სააგენტოს შორის კავშირი მყარდება დახურული კერძო ქსელის (VPN) საშუალებით, რომელიც აიგება ინტერნეტ სერვის პროვაიდერის საკომუნიკაციო არხების ბაზაზე. დახურული კერძო ქსელის აგებისას გამოყენებული ქსელური მოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

ა) მარშრუტიზაციისა და IPSec Tunnel ტექნოლოგიის მხარდაჭერა;

ბ) შიფრაციის პროტოკოლის 3DES მხარდაჭერა;

გ) ჰეშირების პროტოკოლის SHA მხარდაჭერა.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში სამინისტროს ინფრასტრუქტურის მეშვეობით მომსახურების სააგენტოსთვის მისაწოდებლად გამოიყენება მხარეთა შორის 2013 წლის 17 სექტემბერს დადებული №13/02-250 ხელშეკრულების შესაბამისად აგებული დახურული კერძო ქსელი (VPN).

2.4 სამინისტროს ინფრასტრუქტურაში მომსახურების სააგენტოს ჩართვას, სამინისტროს ინფრასტრუქტურის გამართულ მუშაობას და მისი შეუფერხებლად გამოყენების მხარდაჭერას უზრუნველყოფს სამინისტრო.

## 3. ინფორმაციის მიწოდების წესი

3.1 დახურული კერძო ქსელის მეშვეობით ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება სააგენტოს მონაცემთა ბაზასა და სამინისტროს მონაცემთა ბაზას შორის დამყარებული პირდაპირი კავშირის მეშვეობით. სააგენტო სამინისტროს სერვერზე გამოყოფილ მონაცემთა ბაზაზე წვდომისთვის სარგებლობს მხარეთა შორის 2013 წლის 17 სექტემბერს დადებული №13/02-250 ხელშეკრულების ფარგლებში სამინისტროს მიერ გაცემული რეკვიზიტებით (მონაცემთა ბაზის მისამართი, მონაცემთა ბაზის სახელი, მონაცემთა ბაზაზე წვდომის მომხმარებლის სახელი და პაროლი). სააგენტო მხარეთა შორის 2013 წლის 17 სექტემბერს დადებული №13/02-250 ხელშეკრულების შესაბამისად, სამინისტროს მონაცემთა ბაზაში შექმნის მონაცემთა ცხრილს და განათავსებს ინფორმაციას ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

3.2 სააგენტო, ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მეთოდით, ხელშეკრულების გაფორმების თვის და ყოველი მომდევნო კალენდარული თვის პირველი, 10 და 20 რიცხვში სამინისტროს მონაცემთა ბაზაში განათავსებს, ფიზიკური პირის შესახებ სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებულ ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ მონაცემებს.

3.3 ხელშეკრულების 3.2 პუნქტით განსაზღვრულ თარიღებში, სააგენტოს ინფრასტურქტურაში სამინისტროსათვის მისაწოდებელი ინფორმაცია გენერირდება სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის 01:00 – 02:00 (დღის 24 საათიანი ფორმატი) პერიოდის მდგომარეობით, რის შესახებაც ინფორმაცია აისახება დანართის 47-ე გრაფაში.

3.4 ტექნიკური ხარვეზის გამო, ხელშეკრულების 3.2 პუნქტით განსაზღვრულ დროს სამინისტროსთვის ინფორმაციის მიწოდების შეუძლებლობის შემთხვევაში, სააგენტო უზრუნველყოფს სამინისტროსთვის ინფორმაციის მიწოდებას ხელშეკრულების 3.2 პუნქტით განსაზღვრული დროიდან არაუგვიანეს მესამე სამუშაო დღისა. სამინისტროს ინფორმაცია მიეწოდება

| | | |
|---|---|---|
| მალხაზ ტაბლიაშვილი | ზაზა სოფრომაძე | გაიოზ თალაკვაძე |

ხელშეკრულების 3.2 პუნქტში განსაზღვრული დროის მდგომარეობით, ხოლო თუ აღნიშნული შეუძლებელია ტექნიკური მიზეზის გამო - იმ დღის მდგომარეობით რა დღესაც მოხდება ინფორმაციის მიწოდება, რაც აგრეთვე აისახება დანართის 47-ე გრაფაში.

3.5 ტექნიკურის ხარვეზის გამო, 3.2 პუნქტით განსაზღვრულ დროს სამინისტროსთვის ინფორმაციის მიწოდების შეუძლებლობის შემთხვევაში, სააგენტოს ან/და სამინისტროს ინფრასტრუქტურაზე წვდომის წინასწარ ცნობილი შეფერხებების მიზეზით, სააგენტო ან/და სამინისტრო ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს დანარჩენ მხარეებს.

## 4. ინფორმაციის აღრიცხვა

4.1 სააგენტო ვალდებულია აწარმოოს ხელშეკრულების 3.2 პუნქტის შესაბამისად დამუშავებული ინფორმაციის მიწოდების ელექტრონული აღრიცხვა.

4.2 სამინისტრო ვალდებულია აწარმოოს სააგენტოდან ხელშეკრულების 3.2 პუნქტის შესაბამისად მიღებული ინფორმაციის ელექტრონული აღრიცხვა.

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

**5.1 სააგენტო ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს სამინისტროსთვის ინფორმაციის მიწოდება ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული წესითა და ფარგლებში, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე მომსახურების სააგენტოს ხელმისაწვდომობას;

ბ) განახორციელოს ხელშეკრულების 2.2 და 2.3 პუნქტებით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები;

გ) უზრუნველყოს სამინისტროსთვის მიწოდებულ და მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცულ ინფორმაციას შორის სისწორე;

დ) სააგენტოს ინფრასტრუქტურაზე წვდომის წინასწარ ცნობილი შეფერხებების თაობაზე აცნობოს სამინისტროს და მომსახურების სააგენტოს შეფერხებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;

ე) სააგენტოს ინფრასტრუქტურის ტექნიკური ცვლილებების თაობაზე აცნობოს სამინისტროს ცვლილებამდე არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე და უზრუნველყოს ტექნიკური სამუშაოების ჩატარებას სამინისტროსთან შეთანხმებული გრაფიკით;

ვ) მონაცემთა სუბიექტის სახელზე გადამოწმებულ მონაცემებში აღმოჩენილი ურთიერთშეუსაბამობის ან პირის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში, მომსახურების სააგენტოს სააგენტოსათვის წინასწარ ცნობილი უფლებამოსილი პირის მიერ ელექტრონული ფოსტის (servicedesk@sda.gov.ge) მეშვეობით დაკავშირების საფუძველზე, გადაამოწმოს ინფორმაცია სააგენტოში დაცული მატერიალური დოკუმენტების საშუალებით და შედეგები არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე (18 სთ–მდე, ყოველდღე, შაბათ–კვირისა და საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა) ელექტრონული ფოსტის (servicedesk@sda.gov.ge) მეშვეობით აცნობოს მომსახურების სააგენტოს.

**5.2 სააგენტო უფლებამოსილია:**

ა) სამინისტროს მოსთხოვოს ხელშეკრულების 4.2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის აღრიცხვის მონაცემების წარმოდგენა ელექტრონული ან/და წერილობითი მიმართვიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, მოთხოვნის შესაბამისი ფორმით;

ბ) განახორციელოს სამინისტროს მიერ სამინისტროს ინფრასტრუქტურის მეშვეობით მომსახურების სააგენტოსათვის ინფორმაციის მიწოდების მონიტორინგი და აღრიცხვიანობის შემოწმება;

გ) სამინისტროს ან/და მომსახურების სააგენტოს მოსთხოვოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგისთვის აუცილებელი სხვა ინფორმაცია წარმოადგენა.

**5.3 სამინისტრო ვალდებულია:**

ა) განახორციელოს ხელშეკრულების 2.2 და 2.3 პუნქტებით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები;

| | | |
|---|---|---|
| ძალიხან ტაბლიაშვილი | ზაზა სოფრომაძე | გაიოზ თალაკვაძე |

ბ) სააგენტოს მიერ ხელშეკრულების 3.1 პუნქტის შესაბამისად მიწოდებული ინფორმაციის მომსახურების სააგენტოსათვის მიწოდების მიზნით, უზრუნველყოს ხელშეკრულების მხარეთა მიერ სამინისტროს ინფრასტრუქტურით სარგებლობა;

გ) უზრუნველყოს სამინისტროს ინფრასტრუქტურის მდგრადი და გამართული ფუნქციონირება, მისი უსაფრთხოება და სამინისტროს ინფრასტრუქტურის გამოყენებისთვის აუცილებელი ინფორმაციული მხარდაჭერა;

დ) სამინისტროს ინფრასტრუქტურაზე წვდომის წინასწარ ცნობილი შეფერხებების თაობაზე აცნობოს სააგენტოს და მომსახურების სააგენტოს შეფერხებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;

ე) სამინისტროს ინფრასტრუქტურის ტექნიკური ცვლილებების თაობაზე აცნობოს სააგენტოს ცვლილებამდე არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე და უზრუნველყოს ტექნიკური სამუშაოების ჩატარებას სააგენტოსთან შეთანხმებული გრაფიკით;

ვ) არ დაუშვას სააგენტოს მონაცემთა ბაზაზე მესამე პირთა დაშვება (წვდომა), სააგენტოსგან მიღებული ინფორმაციის (გარდა, საჯარო ინფორმაციისა) მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა (გარდა, კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა), როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, ისე - მისი ვადის გასვლის შემდგომ. აღნიშნული არ ვრცელდება სააგენტოს მონაცემთა ბაზიდან მიღებული ინფორმაციის მომსახურების სააგენტოსათვის გადაცემასა და გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაციაზე;

ზ) უზრუნველყოს სამინისტროს ინფრასტრუქტურის მიერ მიღებული და გაგზავნილი ინფორმაციის კონფიდენციალობა და უსაფრთხოება.

**5.4 სამინისტრო უფლებამოსილია** სააგენტოს მოსთხოვოს ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის აღრიცხვის მონაცემების წარმოდგენა მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში მოთხოვნის შესაბამისი ფორმით.

**5.5 მომსახურების სააგენტო უფლებამოსილია:**

ა) სააგენტოს მოსთხოვოს ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის აღრიცხვის მონაცემების წარმოდგენა ელექტრონული ან/და წერილობითი მიმართვიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში მოთხოვნის შესაბამისი ფორმით;

ბ) მონაცემთა სუბიექტის სახელზე გადამოწმებულ მონაცემებში აღმოჩენილი ურთიერთშეუსაბამობის ან პირის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში, დაუკავშირდეს სააგენტოს ელექტრონული ფოსტის (servicedesk@sda.gov.ge) მეშვეობით და სააგენტოსგან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე – 18 სთ-მდე (ყოველდღე, შაბათ–კვირის და საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა) მიიღოს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით პირის იდენტიფიკაციისთვის საჭირო ინფორმაცია ელექტრონული ფოსტის (servicedesk@sda.gov.ge) საშუალებით.

**5.6 მომსახურების სააგენტო ვალდებულია:**

ა) სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე, მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგისთვის აუცილებელი ინფორმაცია;

ბ) არ დაუშვას სააგენტოს მონაცემთა ბაზაზე მესამე პირთა დაშვება (წვდომა), სააგენტოსგან მიღებული ინფორმაციის (გარდა, საჯარო ინფორმაციისა) მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა (გარდა, კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა), როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, ისე - მისი ვადის გასვლის შემდგომ.

## 6. მხარეთა კომუნიკაციის პირობები

6.1 მხარეები ერთმანეთის ინფორმირებას ახდენენ ხელშეკრულებაში მითითებული ელექტრონული ფოსტის, სატელეფონო ან/და წერილობითი შეტყობინებების გამოყენებით.

6.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებზე მხარეთა უფლებამოსილი პირები არიან: სააგენტოს მხრიდან - გარე მომხმარებლებთან ურთიერთობების მართვის სამსახურის უფროსი - **ზურაბ ქუქჩიშვილი** (ტელ.: 2357980; ელ. ფოსტა: z.kukchiishvili@sda.gov.ge); სამინისტროს მხრიდან -

| | | |
|---|---|---|
| **ბალხაზ ტაბლიაშვილი** | ზაზა სოფრომაძე | გაიოზ თალაკვაძე |

ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროგრამული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - **დიმიტრი ალხაზოვი** (ტელ.:577222833; ელ. ფოსტა: dalkhazov@moh.gov.ge); სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან - მთავარი სპეციალისტი - **ზურაბ ბატიაშვილი** (ტელ.:577944991; ელ. ფოსტა: zbatiashvili@moh.gov.ge).

6.3 ხელშეკრულების 6.2 პუნქტით გათვალისწინებულ პირთა გარდა, ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე უფლებამოსილნი არიან მათი მოვალეობის შემსრულებელი პირები.

6.4 ხელშეკრულების 6.2 პუნქტით გათვალისწინებულ პირთა ან/და მათი მონაცემების შეცვლის შემთხვევაში, შესაბამისი მხარე ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს ხელშეკრულების დანარჩენ მხარეებს. ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების ასახვას უზრუნველყოფს სააგენტო.

6.5 სააგენტო ელექტრონული ფოსტის (servicedesk@sda.gov.ge) მეშვეობით დაკავშირების საფუძველზე მომსახურების სააგენტოს ამავე ფორმით ინფორმაციას აწვდის მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ელექტრონული ფოსტის (servicedesk@sda.gov.ge) მეშვეობით დაკავშირება მოხდა სააგენტოსთვის წინასწარ ცნობილი მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ.

## 7. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - დავას განიხილავს სასამართლო.

7.3 ხელშეკრულების 5.3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით და 5.6 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისად, სამინისტროს ან/და მომსახურების სააგენტოს ეკისრება პირგასამტეხლო 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, რაც არ გამორიცხავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სხვა ზომის გამოყენების შესაძლებლობას.

7.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო მხარეს დაეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან დამოუკიდებლად.

## 8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორის გამომწვევ გარემოებათა დასრულებამდე.

8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში აცნობებს ხელშეკრულების სხვა მონაწილეებს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს, რის შემდეგაც, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორს-მაჟორის გაგრძელების ვადით ან ხელშეკრულება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ცვლილებები ხელშეკრულებაში

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს 2015 წლის 01 იანვრიდან და ძალაშია 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით.

## 10. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამ) ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

| | | |
|---|---|---|
| მალხაზ ტაბლიაშვილი | ზაზა სოფრომაძე | გაიოზ თალაკვაძე |

10.2 ხელშეკრულების თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება შეწყვეტის თარიღამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების ხელშეკრულების მეორე მხარისათვის გაგზავნის გზით.

10.3 ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის/ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი ბათილი პუნქტის/ქვეპუნქტის გარეშეც.

10.4 ამ ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

## 11. მხარეთა რეკვიზიტები

11.1 სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო" - მის.: თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №67ა, ს/კოდი 202307404.

11.2 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - მის.: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი 211333957.

11.3 სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო" - მის.: თბილისი, 0119, აკ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი 202178927.

| | | |
|---|---|---|
| მალხაზ ტაბლიაშვილი | ზაზა სოფრომაძე | გაიოზ თალაკვაძე |

დანართი

SDA_Pensions_Insurance_Data_YYYYMMDD მონაცემთა ცხრილის სპეციფიკაცია

| N | მონაცემის სახელი | მონაცემის ტიპი | მონაცემის მნიშვნელობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1. | P_PN_ID | bigint | პირადი ნომრის იდენტიფიკატორი | |
| 2. | P_PRIVATE_NUMBER | char | პირადი ნომერი | |
| 3. | P_LAST | nvarchar | გვარი | |
| 4. | P_FIRST | nvarchar | სახელი | |
| 5. | P_MIDLE_NAME | nvarchar | მამის სახელი | |
| 6. | P_GENDER | smallint | სქესი (1-მამრობითი; 2-მდედრობითი;) | |
| 7. | P_BIRTH_DATE | datetime | დაბადების თარიღი | |
| 8. | P_BIRTH_PLACE | nvarchar | დაბადების ადგილი | |
| 9. | REG_TREE_ADDRESS | nvarchar(400) | რეგისტრაციის მისამართი | საგენტოს მისამართების სტრუქტურით განსაზღვრული მისამართი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში სტრუქტურის გარეშე განსაზღვრული რეგისტრაციის მისამართი<br>ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელი პირის შემთხვევაში - აღნიშნული პირის მიერ მითითებული ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი. |
| 10. | REG_TREE_ADDRESS_COUNTRY | nvarchar | რეგისტრაციის ქვეყანა | მხოლოდ სააგენტოს მისამართების სტრუქტურით განსაზღვრული მისამართის არსებობის შემთხვევაში |
| 11. | REG_TREE_ADDRESS_REGION | nvarchar | რეგისტრაციის რეგიონი | |
| 12. | REG_TREE_ADDRESS_RAION | nvarchar | რეგისტრაციის რაიონი | |
| 13. | REG_TREE_ADDRESS_CITY | nvarchar | რეგისტრაციის ქალაქი | |
| 14. | REG_TREE_ADDRESS_VILLAGE | nvarchar | რეგისტრაციის სოფელი | |
| 15. | REG_REGISTRATION_DATE | datetime | რეგისტრაციის თარიღი | |
| 16. | REG_REGISTRATION_END_DATE | datetime | რეგისტრაციიდან მოხსნის თარიღი | |
| 17. | DOC_IS_IDENTITY_CARD | int | არის თუ არა პირადობის დამადასტურებელი ტიპის დოკუმენტის შესახებ ჩანაწერი (0-არა; 1-კი.) | |
| 18. | DOC_SERIAL | nvarchar | დოკუმენტის სერია | მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი ტიპის დოკუმენტის შესახებ ჩანაწერის არსებობის შემთხვევაში |
| 19. | DOC_NUMBER | nvarchar | დოკუმენტის ნომერი | |
| 20. | DOC_ISSUE_DATE | datetime | დოკუმენტის გაცემის თარიღი | |
| 21. | DOC_DUE_DATE | datetime | დოკუმენტის მოქმედების ვადა | |
| 22. | DOC_TYPE_ID | smallint | დოკუმენტის ტიპის იდენტიფიკატორი | |
| 23. | DOC_TYPE | nvarchar | დოკუმენტის ტიპი | |
| 24. | DOC_ISSUER_RAION | nvarchar | დოკუმენტის გამცემი სამსახური | |
| 25. | DOC_STATUS | int | დოკუმენტის სტატუსი (1-აქტიური; 2-გაუქმებული; 3-შეჩერებული) | |
| 26. | DOC_REVOKE_DATE | datetime | დოკუმენტის გაუქმების თარიღი | |
| 27. | P_DEATH_STATUS | int | არის თუ არა პირი გარდაცვლილი (0-არა; 1-კი.) | |

მალხაზ ტაბლიაშვილი

ზაზა სოფრომაძე

გიორგი თალაკვაძე

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28. | P_DEATH_DATE | datetime | პირის გარდაცვალების თარიღი | |
| 29. | P_DEATH_REGISTRATION_DATE | datetime | პირის გარდაცვალების რეგისტრაციის თარიღი | |
| 30. | P_DEATH_MARK_DATE | datetime | პირის გარდაცვალების აღნიშვნის თარიღი | ველი ერირდება მხოლოდ გარდაცვალების რეგისტრაციის თარიღის არარსებობის შემთხვევაში |
| 31. | IS_NEITRAL | int | არის თუ არა პირი პირადობის ნეიტრალური მოწმობის მფლობელი (0-არა; 1-კი.) | |
| 32. | IS_GEO_CITIZEN | int | არის თუ არა პირი საქართველოს მოქალაქე (0-არა; 1-კი; 2-გაურკვეველი) | |
| 33. | IS_DOUBLE_CITIZEN | int | არის თუ არა ორმაგი მოქალაქეობის მქონე (0-არა; 1-კი;) | ინფორმაცია არასრულია |
| 34. | IS_LIVING_ABOARD | int | ფიქსირდება თუ არა საზღვარგარეთ მუდმივ საცხოვრებლად წასვლა (0-არა; 1-კი.) | |
| 35. | GEO_CITIZEN_LOST_TYPE | bigint | საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის სახეობა (1-საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა ; 2-საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა; 3 -საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა) | |
| 36. | WITHOUT_CITIZEN_TYPE | int | მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის ტიპი (0-არ არის მოქალაქეობის არმქონე პირი; 1-საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი; 2 - უცხო ქვეყანაში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი) | ამ კატეგორიაში შედის საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, პირები, რომელთაც არცერთი სახელმწიფო არ მიიჩნევს თავის მოქალაქედ და პირები რომელთაც სხვა ქვეყნის მიერ მინიჭებული აქვთ მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი |
| 37. | RESIDENCE_TYPE | int | უცხო ქვეყნის მოქალაქის ბინადრობის ტიპი (0-არ არის მობინადრე; 1-დროებითი მობინადრე; 2-მუდმივი მობინადრე; 3- მუდმივი ან დროებითი მობინადრე) | |
| 38. | IS_REFUGEE | int | არის თუ არა ლტოლვილის სტატუსის მქონე (0-არა; 1-კი;) | |
| 39. | IS_HUMANITAR | int | არის თუ არა ჰუმანიტარული სტატუსის მქონე (0-არა; 1-კი;) | |
| 40. | IS_COMPATRIOT | int | არის თუ არა უცხოეთში მცხოვრები თანამემამულე (0-არა; 1-კი;) | |
| 41. | Has_Temporary_Identity_Card | int | ფლობს თუ არა დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობას (1 - თავშესაფრის მაძიებელ პირი; 2 - საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მაძიებელ პირი; 3 - გასაძევებელი პირი;) | |
| 42. | P_PRISIONER_STATUS | int | პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნის აღნიშვნის სტატუსი (0-არა; 1-პატიმრობა; 2-წინასწარი დაკავება) | |
| 43. | P_PRISIONER_MarktDate | datetime | პატიმრობის / წინასწარი დაკავების აღნიშვნის თარიღი | |
| 44. | CONSULAR_STATUS | int | პირის საკონსულო აღრიცხვის სტატუსი (0 - არ არის აღრიცხვაზე; 1 - აქტიური; 2 - შეჩერებული) | |
| 45. | CONSULAR_STATUS_MarkDate | datetime | საკონსულო აღრიცხვის სტატუსის განსაზღვრის თარიღი | |
| 46. | IS_VOID | int | არის თუ არა გაუქმებული ჩანაწერი (0-არა; 1-კი;) | ამ კატეგორიაში შედის გაუქმებული პირადი ნომრის ან გაყალბებული მონაცემების მქონე პირები და გაბათილებული ჩანაწერები |
| 47. | GENERATE_DATE | datetime | მონაცემების გენერირების თარიღი | |
| 48. | LEVEL | int | მონაცემების გენერირების რიგითი ნომერი | |
| 49. | SEND_DATE | datetime | მონაცემების გაგზავნის თარიღი | |
| 50. | Reg_Status | int | მისამართზე რეგისტრაციის სტატუსი (1-აქტიური; 2-რეგისტრაციიდან მოხსნა; 3- რეგისტრაციის ბათილად ცნობა) | |

მალხაზ ტაბლიაშვილი

ზაზა სოფრომაძე

გიორგი თალაკვაძე